განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

შეფასების თარიღი

2018 წლის 14 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**218083222**
დაწესებულების სახე	**სასწავლო უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**მენეჯმენტი**
განათლების საფეხური	**აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**მენეჯმენტის ბაკალავრი - 0203**
სწავლების ენა	**ქართული**
კრედიტების რაოდენობა	250
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	**აკრედიტებული**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი დამკვეთი და კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგანმანათლებლო მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები, რაც წარმოადგენს წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზს. პროგრამა მოიცავს 250 კრედიტს, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: 40 კრედიტი - აკადემიის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები, 129 კრედიტი - ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები (მათ შორის, 113 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები, 8 კრედიტი - სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში, 8 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები), თავისუფალი კომპონენტი 81 კრედიტი, მათ შორის საერთო საჯარისო მართვის სასწავლო კურსები 71 კრედიტი და თავისუფალი კრედიტი-10. საბაკალავრო საგამანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, ზოგადი უნარების, უცხო ენის და მათემატიკის ჩაბარების შედეგები და ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა წესის შესაბამისად შესარჩევი ტურის გავლა (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და გასაუბრება). საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია აპრობირებული მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. იუნკერთა(სტუდენტთა) ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) აქვს თავისი პროცენტული წილი. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო ქვედანაყოფებსა და უზრუნველყოფის სამსახურებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, თავდაცვის, უსაფრთხოების და სამხედრო პროფილის სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. კუსრდამთავრებულის დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. პროგრამა ხორციელდება სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაზაზე. პროგრამაზე სტუდენტების მიღება სტაბილურად ხორციელდება უკანასკნელი წლების განმავლობაში და მათი რიცხვი საშუალოდ 50-ის ფარგლებშია. პროგრამა უზრუნველყოფილია მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნების მქონე ადამიანური რესურსით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 14 სექტემბერს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა აკადემიის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა აკადემიის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სასწავლო ელექტრონული პორტალი ფუნციონალური სერვისების მიხედვით. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული აკადემიის და უშუალოდ, პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 1.2. კომპონენტი კი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველის სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.2, 2.3, კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.4 და 2.5 კომპონენტები შესაბამისობასია მოთხოვნებთან. მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამას ყავს სტუდენტები, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები, რომლებიც დასაქმებული არიან 100%-ით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში, ასევე მათი ნაწილი სწავლას აგრძელებს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ. აკადემია ფლობს უმაღლესი დონის ინფრასტრუქტურას, გააჩნია კარგი საერთაშორისო ურთიერთობები, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია პროგრამის სწავლის ერთერთი შედეგი, კურსდამთავრებულს ექნება: ,,ჰუმანიტარული, ტექნიკური, ზუსტი და სოციალური მეცნიერებების ფართო ცოდნა“, პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, კურსდამთავრებულს ექნება: ,,ჰუმანიტარული, ტექნიკური, ზუსტი და სოციალური მეცნიერებების ძირითადი პრინციპების ცოდნა“;
  - რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წინაპირობად განისაზღვროს პროგრამით გათვალიწინებული სავალდებულო კომპონენტების სრულად ათვისება;
  - რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს დროის მენეჯმენტისა, კრიზისების მართვისა და რისკების მენეჯმენტის დამოუკიდებელი სასწავლო კურსები;
  - რეკომენდებულია მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურად, გრეგორი მენქიუს ,,ეკონომიკის პრინციპებთან“ ერთად გამოყენებული იქნეს მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის პროფილური სახელმძღვანელოები, მაგალითად, ნიკოლსონისა და სნაიდერის მიკროეკონომიკა და ოლივიე ბლანშარის მაკროეკონომიკა, რომლებიც ქართულ ენაზე არის ხელმისაწვდომი;
  - რეკომენდებულია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებული იქნეს პრაქტიკული კომპონენტი პროფესიული პრაქტიკის ან სტაჟირების სახით, რომელსაც სტუდენტები გაივლიან სხვადასხვა ტიპისა და სახის სამოქალაქო სექტორის სტრუქტურებში (ორგანიზაციებში);

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია სტუდენტების აკადემიური თავისუფლების მეტად უზრუნველსაყოფად გაიზარდოს პროგრამის სტრუქტურაში თავისუფალი კომპონენტების მოცულობა;
  - სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს კვლევითი პროექტების განხორციელების მიმართულებით აქტიურობა და უზრუნველყოს მასში მეტი სტუდენტების ჩართულობა;
  - სასურველია დაწესებულებამ გრძელვადიან პერიოდში კიდევ უფრო გაზარდოს მენეჯმენტის მიმართულების აფილირებული პერსონალის რაოდენობა;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - აკადემიაში აქტიურად გამოიყენება ე.წ. კოლეგიალური შეფასების სისტემა, რაც დამატებით ეფექტიან ინსტრუმენტად შეიძლება ჩაითვალოს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით;
  - პოტენციური დამსაქმებელის სრული ჩართულობა პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში;
  - პროგრამის ხარისხის გარე შეფასების მრავალფეროვანი მექანიზმების გამოყენება;

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანამნათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა და ფუნქციონირება დაიწყო 2013 წლის 8 ოქტომბრიდან. აკრედიტაციის შემდეგ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელებული შიდა და გარე შეფასებების გათვალისწინებით პროგრამაში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, მათ შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი ცვლილებები:

- კრედიტების საერთო რაოდენობა გაიზარდა 240-დან 250-მდე;
- დაწესდა მინიმალური კომპეტენციის სავალდებულო ზღვრები: შუალედური შეფასების, შუალედური გამოცდის და დასკვნითი გამოცდისათვის;
- საერთო სავალდებულო და სპეციალობის სასწავლო კურსებიდან მოხდა ზოგიერთის მოდიფიცირება;
- მეოთხე სემესტრში დაემატა სასწავლო კურსი „ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში“;
- მეექვსე სემესტრში სასწავლო კურსს „მაკროეკონომიკა“ შეეცვალა სტატუსი. არჩევითიდან იგი გახდა ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი;
- მეშვიდე სემესტრში არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკს დაემატა სასწავლო კურსი „მოლაპარაკებები და კონფლიქტები“;
- მერვე სემესტრში არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკს დაემატა სასწავლო კურსი „კორპორაციული ფინანსები“;
- სპეციალობის ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლება პროგრამის ახალი სტრუქტურით იწყება არა მე-5, არამედ მე-4 სასწავლო სემესტრიდან;

გარდა ზემოთაღნიშნულისა, დღეის მდგომარეობით:

- აკადემია აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო კვლევით ერთეულებთან, ამისათვის 2017 წლის მაისში თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ბრიტანულ “Think Tank“-თან გაერთიანებული ძალების სამეფო ინსტიტუტთან (Royal United Services Institute);
- აკადემია, თანამშრომლობს ნატოს-ს ენების საერთაშორისო საკოორდინაციო ბიუროსთან (BILC), რომელიც მეთვალყურეობას უწევს აკადემიაში ინგლისური ენის სწავლებას და თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას სასწავლო პროცესში;
- აკადემია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) თანამშრომლობის ფარგლებში ახორციელებს ტრენინგებს, რომელის თემატიკა ძირითადად ეფუძნება სწავლის და სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რაც გრძელვადიან დინამიკაში პოზიტიურად აისახება პროგრამის განხორციელებაზე;

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით, შესაბამისად აღნიშნული პროგრამის მიზანი უპირველეს ყოვლისა ორიენტირებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების წინაშე მდგარი მენეჯმენტის სფეროში დღეს არსებული გამოწვევების გადაწყვეტაზე, რაც თავის მხრივ შეუძლებელია მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე ოფიცრების მომზადების გარეშე. აღნიშნული ორიენტირები სწორად არის გააზრებული უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების მიერ და ადექვატურად არის ასახული პროგრამის მიზნებში, კერძოდ ,,მენეჯმენტის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის მიზანია სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის შესაბამისად, შეიარაღებული ძალების და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის მოამზადოს უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსი, მომავალზე ორიენტირებული ორგანიზაციების მენეჯერები, რომელთაც ექნებათ ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რომელიც მათ საშუალებას მისცემს წარმატებით იმოქმედონ კონკურენტულ გარემოში - შექმნან, მართონ და/ან წვლილი შეიტანონ, როგორც შეიარაღებულ ძალების, ასევე სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების განვითარებაში“. პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, შესაბამისად პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგანმანათლებლო მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები, რაც წარმოადგენს წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზს. პროგრამის მიზნები მიღწევადია. პროგრამა ხელს უწყობს კვალიფიციური, მტკიცე ეროვნული, ეთიკური და მორალური ღირებულებებით, ლიდერული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ, როგორც დარგის ისე საზოგადოების განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისია; ▪ ინტერვიუ ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორთან; ▪ ეროვნული თავდაცვის აკადემიის შვიდწლიანი სტრატეგია; ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ პროგრამის სტრატეგია; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

- http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. პროგრამის სწავლის შედეგები კვალიფიკაციათა აღმწერით გათვალისწინებულ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებს და პასუხობს პროგრამის დამკვეთის, საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები ასევე იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას. შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შდეგების შეფასების პროცესი გამჭირვალეა, დაწესებულებაში არსებობს აღნიშნული პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც პროცესში მონაწილეობას ღებულობდა აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სამხედრო ინსტრუქტორები, იუნკერი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები, სამიზნე ნიშნულები, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განმახორციელებლების მიერ შემუშავებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და კურიკულუმის რუკა, მომზადებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის

გასაუმჯობესებლად. კერძოდ, აკადემიის იუნკერებისთვის დაიხვეწა უცხო ენებში გამოცდის მეთოდები, განსაზღვრული იქნა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, გაიზარდა სასწავლო კურსებში დასკვნითი შეფასების გამოცდისათვის მინიმალური კომპეტენციების ზღვარი და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია. თუმცა, პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგები საჭიროებს კორექტირებას, კერძოდ პროგრამის ერთერთი სწავლის შედეგი ცოდნა-გაცნობიერება გვეუბნება, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება: ,,ჰუმანიტარული, ტექნიკური, ზუსტი და სოციალური მეცნიერებების ფართო ცოდნა", რაც ცხადია რომ მოითხოვს აღნიშნული მეცნიერებების შემსწავლელი დისციპლინების ასევე ფართო სპექტრის არსებობას პროგრამაში. აღნიშნული საკითხი განხილული იქნა პროგრამის წარმომადგენლებთან და გაირკვა, რომ ადგილი აქვს ტექნიკურ ხარვეზს, კერძოდ უნდა იყოს: ,,ჰუმანიტარული, ტექნიკური, ზუსტი და სოციალური მეცნიერებების ძირითადი პრინციპების ცოდნა", შესაბამისად რეკომენდებულია აღნიშნული დეტალის კორექტირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ეროვნული თავდაცვის აკადემიის შვიდწლიანი სტრატეგია; ▪ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი; ▪ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ▪ ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულ კვლევების უკუკავშირი; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედგენაში ჩართული პირების მონაწილეობის დამდასტურებელი დოკუმენტი; ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ ინტერვიუები, აკადემიის ხარისხის სამსახურის უფროსთან, მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;
რეკომენდაციები: ➢ რეკომენდებულია პროგრამის სწავლის ერთერთი შედეგი, კურსდამთავრებულს ექნება: ,,ჰუმანიტარული, ტექნიკური, ზუსტი და სოციალური მეცნიერებების ფართო ცოდნა", პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, კურსდამთავრებულს ექნება: ,,ჰუმანიტარული, ტექნიკური, ზუსტი და სოციალური მეცნიერებების ძირითადი პრინციპების ცოდნა".
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიას საბაკალავრო პროგრამაზე ,,მენეჯმენტი", გააჩნია გამჭვირვალე და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისი პროგრამაზე დაშვების პროცედურები. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა. ასევე, დადგენილია ასაკობრივი შეზღუდვა, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ აბიტურიენტებს რომლებსაც მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 და მეტი წელი. ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გარდა პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, ზოგადი უნარების, უცხო ენის და მათემატიკის ჩაბარების შედეგები. ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა წესის შესაბამისად აბიტურიენტმა უნდა გაიაროს შესარჩევი ტური რომელიც მოიცავს შემდეგ პროცედურებს: სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და გასაუბრება. ასევე, აბიტურიენტს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერის სტატუსის მოპოვება შეუძლია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. თავდაცვის აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე აბიტურიენტები გადიან საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს (BCT).

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ეროვნული თავდაცვის აკადემიაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის კურსდამთავრებულს მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 250 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: 40 კრედიტი - აკადემიის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები, 129 კრედიტი - ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები (მათ შორის, 113 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები, 8 კრედიტი - სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში, 8 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები), თავისუფალი კომპონენტი 81 კრედიტი, მათ შორის ,,საერთო საჯარისო მართვა" სასწავლო კურსები 71 კრედიტი, მართვა, 10 - თავისუფალი კრედიტი. აღსანიშნავია, რომ ნატო-ს საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა (Defence Education Enhancement Program) დიდ როლს თამაშობს აკადემიის საბაკალავრო პროგრამების გადახედვის, კურიკულუმების დახვეწის, პროფესორ-მასწავლებლების გადამზადების, სტუდენტთა შეფასების და სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწის თვალსაზრისით. არსებობს აკადემიასა და DEEP-ს შორის გაფორმებულია სამოქმედო გეგმა, რომლის გადახედვა

მიმდინარეობს ყოველწლიურად აკადემიის პრიორიტეტული მიმართულებებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. DEEP-ის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების საშუალებით განხორციელდა მენეჯმენტის სრული გადახედვა და გარე ექსპერტიზა.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, სტუდენტები I-IV სემესტრში ეუფლებიან აკადემიის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსებს, რომელიც ნაწილობრივ მოიცავს ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებსაც. პროგრამის ძირითადი სპეციალობის კომპონენტის საგნები ისწავლება IV სემესტრიდან. საგნების თანმიმდევრობა ეფუძნება დაშვების წინაპირობებს, რომლის მიხედვითაც სწავლების VIII სემესტრში პროგრამის მიხედვით სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ საბაკალავრო ნაშრომი, რომლის წინაპირობა არის საბაკალავრო ნაშრომის წინა სემესტრებში გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესრულება. ამასთან, საბაკალავრო ნაშრომის პარალელურად მიმდინარეობს სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების: სტრატეგიული მენეჯმენტის და პროექტების მენეჯმენტის სწავლება. საბაკალავრო ნაშრომის მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ უმჯობესია საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას წინ უსწრებდეს სტრატეგიული მენეჯმენტისა და პროექტების მენეჯმენტის სწავლება. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შინაარსობრივი კომპონენტები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, პროგრამის მიზნების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (მენეჯმენტის ბაკალავრი) გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ უმჯობესია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს დროის მენეჯმენტისა, კრიზისების მართვისა და რისკების მენეჯმენტის დამოუკიდებელი სასწავლო კურსები, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს პროგრამის მიზნების მიღწევას. გარდა ამისა, მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ასევე თავისუფალი კრედიტების ფარგლებში არჩევითობას სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით, ასევე ენობრივი კომპეტნეციის დონის ასამაღლებლად უცხოური(გერმანული, ფრანგული) ენის სასწავლო კურსების გავლისთვის. თუმცა, სასურველია სტუდენტების მეტი აკადემიური თავისუფლების უზრუნველსაყოფად გაიზარდოს პროგრამის სტრუქტურაში თავისუფალი კომპონენტების მოცულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ,,აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის, დაგეგმვის, შემუშავებისა, განვითარების, განხორციელების, შეფასებისა და დამტკიცების წესი;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წინაპირობად განსაზღვროს პროგრამით გათვალიწინებული სავალდებულო კომპონენტების სრულად ათვისება;
- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს დროის მენეჯმენტისა, კრიზისების მართვისა და რისკების მენეჯმენტის დამოუკიდებელი სასწავლო კურსები;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტების აკადემიური თავისუფლების მეტად უზრუნველსაყოფად გაიზარდოს პროგრამის სტრუქტურაში თავისუფალი კომპონენტების მოცულობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა ,,მენეჯმენტი“ - შედგება ისეთი სასწავლო კურსებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ იუნკერის (სტუდენტის) სხვადასხვა უნარ ჩვევების განვითარებას. პროგრამაში გათვალისწინებულია ის ძირითადი სასწავლო კურსები, რომელიც აუცილებელია ,,მენეჯმენტის“ პროფილის საგანმანათლებლო პროგრამისათვის. სასწავლო კურსები შემდეგი ლოგიკური თანიმდევრობითაა მოცემული: 1. კურსები რომელიც ხელს უწყობს მენეჯმენტის ზოგადი განათლების ამაღლებას; 2. საგნები, რომლებიც ორინტირებულია საბაზო განათლების ამაღლებაზე; 3. საგნები, რომლებიც ემსახურება მენეჯმენტის პროფილური მიმართულების გაძლიერებას. მთლიანობაში პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. პროგრამაში სასწავლო კურსები წარმოდგენილია თანდათანობითი გართულების პრინციპის დაცვით. პროგრამის სილაბუსებში მოცემული თემატური საკითხები, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსის შედეგებს, იგი თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსის კრედიტის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ. ასევე, კურსების თემატიკის გათვალისწინებით დაკონკრეტებულია შეფასების სისტემა და სწავლების მეთოდოლოგია. თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსში გამოყენებლი შეფასების კრიტერიუმების გაწერისას გაპარულია ტექნიკური ხასიათის უზუსტობა, კერძოდ სასწავლო კურსის ეკონომიკის საფუძვლები, წერითი დავალების შეფასებისას დარღვეულია შეფასების ქულების ბიჯი (1 და 2 ქულიანი). კურსებში მოცემული სასწავლო მასალა საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას პროგრამით გათვალისწინებული

სწავლის შედგები. თუმცა მიგვაჩნია, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით, კერძოდ კი მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის სასწავლო კურსებში უმჯობესია კიდევ უფრო გაღრმავდეს მათი შინაარსი და მნიშვნელოვნად გასცდეს მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის პრინციპებს. შესაბამისად, რეკომენდებულია აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურას მიკროეკონომიკის შემთხვევაში დაემატოს მაგალითად, ამავე კურსის სილაბუსში დამატებით ლიტერატურად გამოყენებული ნიკოლსონისა და სნაიდერის მიკროეკონომიკის სახელმძღვანელო, ხოლო მაკროეკონომიკის სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს მაგალითად ოლივიე ბლანშარის მაკროეკონომიკის სახელმძღვანელო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ სასწავლოს კურსის სწავლის შედეგების რუქა; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვირება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურად, გრეგორი მენქიუს „ეკონომიკის პრინციპებთან“ ერთად გამოყენებული იქნეს მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის პროფილური სახელმძღვანელოები, მაგალითად, ნიკოლსონისა და სნაიდერის მიკროეკონომიკა და ოლივიე ბლანშარის მაკროეკონომიკა, რომლებიც ქართულენოვანია;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა ,,მენეჯმენტში" გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც კვლევითი ხასიათისაა და იგი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სხვადასხვა დისციპლინებში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას. საბაკალავრო ნაშრომის მომზადების და დაცვის პროცესი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, რათა შემოწმდეს საბაკალავრო პროგრამით სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევები და მისი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები. სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვას ხელს უწყობს თავდაცვის ეროვნული აკადემიის ეგიდით გამართული სამეცნიერო კონფერენციები. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, აკადემიის აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით ხდება მენეჯმენტის აქტუალურ საკითხებზე თემების მომზადება და მათი წარდგენა. ბუნებრივია სამეცნიერო ხასიათის აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ასევე, დაწესებულება აქტიურად ახორციელებს სამხედრო კომპონენტის განვითარების თვალსაზრისით საველე და პრაქტიკულ სამუშაოებს, რომელიც გაწერილია აკადემიის სასწავლო კურსების სილაბუსებში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება წერითი საშინაო დავალებების, ქეისების, რეფერატების და სხვა პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები, პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს მოსაზრება რომ საჭიროა სამოქალაქო ნაწილში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება. აღნიშნულიდან, გამომდინარე მიგვაჩნია რომ კარგი იქნება პროგრამის სტრუქტურაშივე იქნეს გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი პროფესიული პრაქტიკის ან სტაჟირების სახით, რომელსაც სტუდენტები გაივლიან სხვადასხვა ტიპისა და სახის სამოქალაქო სექტორის სტრუქტურებში (ორგანიზაციებში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვირება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს კვლევითი პროექტების განხორციელების მიმართულებით ააქტიურობა და უზრუნველყოს მასში მეტი სტუდენტების ჩართულობა; ▪ რეკომენდებულია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებული იქნეს პრაქტიკული კომპონენტი პროფესიული პრაქტიკის ან სტაჟირების სახით, რომელსაც სტუდენტები გაივლიან სხვადასხვა ტიპისა და სახის სამოქალაქო სექტორის სტრუქტურებში (ორგანიზაციებში).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადად გამოყენებულია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამისათვის დამახასიათებელი მეთოდები. მაგალითად, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა. აღნიშნული მეთოდები დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე დაკონკრეტებულია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში. უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებული მეთოდოლოგია მთლიანობაში ადეკვატურია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამასთან და შეესაბამება სწავლების საფეხურს, მისაღწევ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. გარდა ამისა, აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამხედრო მიმართულებით სწავლება-სწავლის მეთოდებს. რომელშიც გათვალისწინებულია მსოფლიოს წამყვანი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვირება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ აკადემია აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო კვლევით ერთეულებთან, ამისათვის 2017 წლის მაისში თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ბრიტანულ "Think Tank"-თან გაერთიანებული ძალების სამეფო ინსტიტუტთან (Royal United Services Institute);
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თავდაცვის აკადემიაში იუნკერების ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 8 სექტემბრის #1259 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია", ,, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის" შესაბამისად. აკადემიაში შეფასები სისტემა 100 ქულიანია, რომელიც მოიცავს როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი გამოცდის კომპონენტებს. მთლიანობაში პროგრამაში მოცემულია ხუთი სახის დადებითი შეფასება: ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა ; 4. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

შუალედური გამოცდის და შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 30%-ით, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 40%-ით. იმ შემთხვევაში თუ იუნკერი (სტუდენტი) ვერ ჩააბარებს გამოცდას, მას საშუალება ეძლევა გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში; ცალკეული დისციპლინების მიხედვით სილაბუსებში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რომელიც შეესაბამება გამოყენებულ მეთოდებს და დისციპლინის სპეციფიკას. იუნკერთა ცოდნის შეფასება ხორციელდება აკადემიაში დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც გამჭირვალე და თანხვედარშია მოქმედ კანონმდებლობასთან. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სტუდენტები და პროფესორ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ელექტორნულ სასწავლო პლატფორმა ,,ILIAS ", რომელიც ხელს უწყობს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას.

იუნკერებს (სტუდენტებს) საშუალება ეძლევათ გაასაჩივრონ მიღებული შეფასება, რასაც ადასტურებს სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები. მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს სემესტრის განმავლობაში მიღებული შედეგების ანალიზს. რაც პედაგოგებს საშუალებას აძლევს განახორციელონ საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები დისციპლინებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიაში აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვირება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- ელექტორნული სასწავლო პლატფორმა ,,ILIAS ".
- http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიაში იუნკერი (სტუდენტი) იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე სათანადო კონსულტაციას. ინტერვიუებისას დადგინდა, რომ ლექტორები სემესტრის განმავლობაში ახდენენ სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების აღმოჩენის შემთხვევაში მათთან ატარებენ დამატებით მეცადინეობებს. სტუდენტებიც აღნიშნავენ, რომ იღებენ შესაბამის კონსულტაციებს როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისაგან. სპეციფიკიდან გამომდინარე, იუნკერების უშუალო დამსაქმებელია თავდაცვის სამინისტრო. რაც შეეხება საერთაშორისო თანამშრომლობას, აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმები ისეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან როგორიცაა: ბალტიის თავდაცვის კოლეჯი; ჩრდილოეთ ჯორჯიის კოლეჯი და სახელმწიფო უნივერსიტეტი და ა.შ. დაწესებულებამ დანართის სახით წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც ასახულია იუნკერების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის სტატისტიკა წლების მიხედვით. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს ასევე „ერაზმუს +“ პროგრამასთან. 2018 წლის 2018 წლის 15 მარტის მონაცემებით, ოთხწლიან საბაკალავრო პროგრამებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში მივლინებულია 11 იუნკერი (3- აშშ სახმელეთო ჯარების აკადემიაში (USMA – West Point), 2 -აშშ სანაპირო დაცვის აკადემიაში (US Coast Guard Academy), 3 აშშ საზღვაო აკადემიაში (US Naval

Academy) და 3 აშშ საჰაერო ძალების აკადემიაში (US Air Force Academy)), თურქეთის რესპუბლიკაში 9 იუნკერი (7 - თურქეთის სამხედრო-სახმელეთო აკადემიაში (Turkish Military Academy) და 2 თურქეთის საჰაერო ძალების აკადემიაში(Turkish Air Force Academy)), გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 4 იუნკერი(ბუნდესვერის უნივერსიტეტში (Budeswehr University in Munich)) და საფრანგეთის რესპუბლიკაში ერთი იუნკერი (სენ-სირის სამხედრო აკადემია (Ecole Spéciale Militaire de Saint-Cyr)). საფრანგეთის სენ-სირის სამხედრო აკადემიიდან, ამერიკის ჩრდილოეთ ჯორჯიის უნივერსიტეტიდან და ლიტვის სამხედრო აკადემიიდან, ყოველწლიურად ჩამოდის მინიმუმ 7 კადეტი აკადემიაში სტაჟირების პროგრამის გავლის მიზნით. მსგავსი პროგრამის ხანგრძლივობა 4-დან 8 კვირამდე მერყეობს.

აკადემია, ასევე, თანამშრომლობს ნატოს-ს ენების საერთაშორისო საკოორდინაციო ბიუროსთან, რომელიც მეთვალყურეობას უწევს აკადემიაში ინგლისური ენის სწავლებას და თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას სასწავლო პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვირება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- აკადემია, თანამშრომლობს ნატოს-ს ენების საერთაშორისო საკოორდინაციო ბიუროსთან, რომელიც მეთვალყურეობას უწევს აკადემიაში ინგლისური ენის სწავლებას და თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას სასწავლო პროცესში.

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნული კომპონენტი არ შეფასებულა, ვინაიდან პროგრამა საბაკალავროა !
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით: აკადემიური პერსონალით, მოწვეული სპეციალისტებით, მასწავლებლებით და სამხედრო ინსტრუქტორებით. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 21 სუბიექტი, აქედან 14 აფილირებული აკადემიური პერსონალია, სადაც 4 პროფესორია, 7 ასოცირებული პროფესორი, ხოლო 3 ასისტენტ-პროფესორი. სასწავლო პროცესში ასევ არის ჩართული 7 მოწვეული პერსონალი. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სამხედრო სასწავლო კომპონენტი ხორციელდება 19 სამხედრო ინსტრუქტორის მიერ. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა; რაც ადასტურებს მენეჯმენტის დარგში მის კომპეტენტურობას. სამხედრო ინსტრუქტორების კვალიფიკაცია დასტურდება მათი პროფესიული გამოცდილებით. ამასთან, სამხედრო ინსტრუქტორების პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო მხოლოდ მათი პერსონალური მონაცემები, რაზეც ადმინისტრაციის მხრიდან გაკეთდა შესაბამისი განმარტება.

საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და/ან სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა პროგრამის შეფასება-განვითარებაში და ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ასევე ჩართულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;

- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ინტერვირება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან;
- http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ გრელვადიან პერიოდში კიდევ უფრო გაზარდოს მენეჯმენტის მიმართულების აფილირებული პერსონალის რაოდენობა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პერმანენტულად ტარდება მონიტორინგი. აღნიშნული პროცესის გაკონტროლება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად. პროცესის ანალიზისათვის ძირითადად გამოიყენება გამოკითხვები, უშუალოდ ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და საუდიტორიო მეცადინეობის შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიღებული შედგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს. უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიაში აქტიურად გამოიყენება ე.წ კოლეგიალური შეფასების სისტემა, რაც დამატებით ეფექტიან ინსტრუმენტად შეიძლება ჩაითვალოს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

ეროვნული თავდაცის აკადემია ხელს უწობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. აკადემიას გააჩნია მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები საზღვარგარეთ სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ერთობლივი კვლევების, ცოდნის ტრანსფერის თვალსაზრისით. აკადემია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) თანამშრომლობის ფარგლებში ახორციელებს ტრენინგებს, რომელშიც მონაწილეობას იღებს მენეჯმენტის პროგრამის აკადემიური პერსონალი. ტრენინგის თემატიკა ძირითადად ეფუძნება სწავლის და სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რაც გრძელვადიან დინამიკაში პოზიტიურად აისახება პროგრამის განხორციელებაზე. პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნატოს ეგიდით გამართული კვალიფიკაციის ასამაღებელი კურსები, რომელშიც ჩართულია როგორც უცხოელი, ასევე ქართველი ტრენერები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვირება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან;
- http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- აკადემიაში აქტიურად გამოიყენება ე.წ კოლეგიალური შეფასების სისტემა, რაც დამატებით ეფექტიან ინსტრუმენტად შეიძლება ჩაითვალოს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით;

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- აკადემია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) თანამშრომლობის ფარგლებში ახორციელებს ტრენინგებს, რომელის თემატიკა ძირითადად ეფუძნება სწავლის და სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რაც გრძელვადიან დინამიკაში პოზიტიურად აისახება პროგრამის განხორციელებაზე;

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით და საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით. აკადემიის ბაზის ტერიტორიაზეა განთავსებულია ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრები. ამავე ტერიტორიაზეა სხვა დამხმარე ნაგებობები: სიმულაციური ცენტრი, სპორტული დარბაზი, რეკრეაციულ ცენტრი, სასადილო და ლაზარეთი. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო როგორც ქართულენოვანი, ასევე, ინგლისურენოვანი ლიტერატურა. აკადემიის სტუდენტები (იუნკერები) ინფორმირებულები არიან საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებით. თითოეულ სტუდენტს (იუნკერს) გადაეცემა პირადი კომპიუტერი, ასევე მათ შესაძლებლობა აქვთ იმუშაონ ბაზაზე არსებულ კომპიუტერულ ცენტრებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობისა და წიგნადი ფონდის ფაქტობრივი მდგომარეობა; ▪ ინტერვირება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; ▪ ინტერვიუები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; ▪ http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბიუჯეტო ასიგნებები მოიცავს, შრომის ანაზღაურების, მატერიალური და სასწავლო რესურსების მართვის, რესურსების მოვლის, განახლების და სხვა მუხლებს. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. თვთშეფასების ანგარიშის შედგენასა და პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებიც, რომელიც დეტალურია და სპეციფიკიდან გამომდინარე მოიცავს ყველა ასპექტს. ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ ყველა მხარე აქტიურად იყო ჩართული პროცესებში. პროგრამაშიც მოხდა გარკვეული ცვლილებები. სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე დაემატა არჩევითი კურსები. პროგრამა შედგება სამოქალაქო და სამხედრო კომპონენტებისაგან. სწავლის ეფექტიანობის გაზრდისათვის მოხდა ინსტრუქტორების გადამზადება. ამასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი სადაც ასახულია, სხვა ცვლილებებიც, რომელიც განხორციელბა კვლევის შედეგების საფუძველზე. იუნკერების უშუალო დამსაქმებელია თავდაცვის სამინისტრო, ამიტომ დამსაქმებლებმა ინტერვიუებისას დაადასტურეს სრული ჩართულობა პროგრამის განვითარებაში და აღნიშნეს, რომ აქვთ მუდმივი უკუკავშირი აკადემიასთან პროგრამის გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე ხელმძღვანელობს აშშ-ს შეიარაღებული ძალების საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისაკენ მიმართული დოქტრინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიურება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი კვლევები და სხვა დოკუმენტაცია; ▪ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან;

- http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პოტენციური დამსაქმებელის სრული ჩართულობა პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში;

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება გარე ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად იყენებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს. გარდა ამისა, სამხედრო კომპონენტების შინაარსის და ეფექტურობის ანალიზს ახორციელებს გაერთიანებული შტაბის J7 საბრძოლო მომზადებისა და სამხედრო განათლების დეპარტამენტი. ისინი, ასევე, ახორციელებენ სასწავლო პროცესისა და საბრძოლო მომზადების პერიოდულ მონიტორინგს. პროგრამის გარე შეფასება ჩატარდა Deep-ის ექსპერტების მიერაც. მათი რეკომენდაციებით მოხდა პროგრამაში გარკვეული ცვლილებები. მაგ: დაემატა საგანი კონკრეტული დასახელებით "კორპორაციათა ფინანსები".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი კვლევები და სხვა დოკუმენტაცია;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;

- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან;
- http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამის ხარისხის გარე შეფასების მრვალფეროვანი მექანიზმების გამოყენება;

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიაში პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. შემუშავებულია ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის პერიოდულ შეფასებას. უსდ-ში ხორციელდება ლექტორების ურთიერთ განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუების დროსაც. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების წესი. სასწავლო კურსების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, იუნკერები აფასებენ (კითხვარების მეშვეობით ან სხვა)აღნიშნულ კურსს, რაც აისახება შესაბამის ცვლილებებში. პერიოდულად ხდება პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. მონიტორინგები ტარდება ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის და სასწავლო სამსახურის მიერ. აღსანიშნავია, რომ შედგენილია სწავლის შედეგების რუკები ყველა სასწავლო კურსებისათვის, ასევე, მთლიანი პროგრამის რუკა, რომლითაც ხორციელდება შედეგების შეფასება. წარმოდგენილია გამოკითხვის ფორმები და შედეგები. პერიოდულად ხდება პროგრამის შედარება საერთაშორისო ანალოგებთან, აღნიშნული პროგრამის შეფასება მოახდინეს DEEP-ის ექსპერტებმაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიურება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; ▪ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება; ▪ ლექციაზე დაკვირვების ფორმა/ანგარიშები; ▪ სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; ▪ გამოკითხვის შედეგები; ▪ კოლეგიალური შეფასების ანკეტა; ▪ http://eta.edu.ge/ - აკადემიის ვებგვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ვასილ კიკუტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა</u>

ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მერაბ ხოხობაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ანა გვრიტიშვილი